ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲫ. ᲡᲝᲪ.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗᲗᲔᲚ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ.
Organe du Bureau à l' Etranger du parti Social-democrate de **Géorgie.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲠᲝᲨᲘ

832
1980

" NOTRE DRAPEAU "

ᲒᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲜᲝᲔ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ.

Ｍ Ａ Ｉ Ｓ Ｉ　　１９８０　　Ｐ Ａ Ｒ Ｉ Ｚ Ｉ

№ 94

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲛᲐᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ.
ᲩᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲝᲛᲘ — Ｐ. Ｓ.
ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲐᲕᲦᲐᲜᲘᲡᲢᲐᲜᲖᲔ — ᲑᲐᲓᲠᲘᲫᲔ.
ᲐᲕᲦᲐᲜᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. (ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ)
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ. — ᲫᲕᲔᲚᲘ.
ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐᲡ ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲔᲑᲘ — Ｐ. ᲡᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲫᲔ.
ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ.
ᲛᲔᲢᲔᲮᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲘ. (ᲚᲔᲥᲡᲘ).
„ᲡᲐᲖᲘᲐᲠᲝ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ“ — Ｐ. ᲡᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲫᲔ.
ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐ ᲐᲮᲕᲐ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ა ი ს ი დ ა თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

26 მაისი საქართველოს, ერთი საუკუნის რუსეთის მონობიდან განთავისუფლების დღეა, 26 მაისს, ქართველმა ერმა დაიბრუნა წართაცებული თავისუფლება და იგი კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა. ამ დღეს საქართველო ერთსულოვნად გამოვიდა საკაცობრიო ასპარეზზედ და გამოსთქვა თავისი ურყევი ნებისყოფა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი.

ამ დიდებულმა დღემ აღმართა ეროვნული დროშა და მის ქვეშ თავი მოუყარა გაერთიანებულ ქართველ ერს; შეუდგა სახელმწიფოს შენებას მთელი თავისი ძალითა და ენერგიით. მაგრამ რუსული იმპერიალიზმის ახალმა სახეობამ, ბოლშევიკურმა რეჟიმმა, თავიდანვე თვალში ამოიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა და მიუხედავად ლენინის მიერ ცნობილი ხელშეკრულებისა, (7 მაისის 1920 წ. რომლის მელანი, ამ სამოცი წლისთავზე არ შემშრალა), მისივე წითელი ჯარის შემოსევით 1921 წ. თებერვალში ქართველ ხალხს დაადვეს რკინის უღელი მონობისა..

1921 წ. თებერვალში, ნიღაბახდილი ბოლშევიკური რეჟიმის წითელი ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა, — უთანასწორო ბრძოლებში ახალგაზრდა დემ. რესპუბლიკა დაეცა.. 25 თებერვალი, სამშობლოს გლოვის დღე გახდა. გვახსენდება პოეტის სიტყვები: „ჩრდილოეთიდან შემოგვიტიეს, მაისს ჩააცვეს თებერვლის ჩოხაო.“. ქართველ ერს სძულს 25 თებერვალი, თავისუფლების სამარის გამთხრელი.

26 მაისმა საქართველო საამურ მზით გაანათა. 26 მაისმა, საქართველო თავისუფალ კულტურულ ერთა ფერხულში ჩაობა. 26 მაისი, ქართველი ხალხისათვის ჩაუქრობელი ლამპარია, რომელიც ანათებს საქართველოს **აღდგენის გზას.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ომი

დღეს კაცობრიობა იმყოფება დიდი საფრთხის წინაშე. მსოფლიო დაყოფილია ორ მოპირდაპირე ბანაკად, ორ ბლოკად, რომელნიც აღჭურვილნია ერთი უსაშინელესი იარაღით ატომიური ბომბით, თუ სხვა და სხვა მსწრაფლ მსვლელი ატომიური იარაღებით, მას დღეს ფლობს არა მარტო ორი გიგანტი, არამედ სხვებიც ... საკმარისია ერთ კუთხეში ომი ატყდეს, რომ ის მოედვას მთელ მსოფლიოს და დაიწყება ადამიანთა გაუგონარი ხოცვა - ჟლეტა, წინანდელ ომებში იხოცებოდნენ მხოლოდ მეომარნი. ამ უკანასკნელ ომში, მშვიდობიანი მცხოვრებნი დაიხოცა გაცილებით მეტი ვიდრე მებრძოლნი, სულ მოკლული იქნა - 15 - მილიონი ადამიანი ამათში ექვსი მილიონი მეომარნი, ცხრა მილიონი მშვიდობიანი მცხოვრებნი, და ეს იმ დროს, როცა ატომიური ბომბი არ გავარდნილა გარდა იაპონიისა.

ცხადია, ახალი მოსალოდნელი ომი, ახალი იარაღებით იქნება მიმართული პირველყოვლისა კაცობრიობის წინააღმდეგ. სამხედრო ნაწილები დაზარალდებიან გაცილებით ნაკლებად, ვიდრე მშვიდობიანი მცხოვრებნი და ვიდრე ქალები და ბავშვები.

დაბადების თქმით, ერთხელ წარღვნით მოისპო კაცობრიობა, დარჩა ერთად - ერთი ნოე და მისი კიდობანის მცხოვრებნი, ახლა იმავე გზაზე და იმავე შედეგებისათვის ემზადება განათლებული ნაწილი კაცობრიობისა.

რატომ ასე დაბნელდა ადამიანთა გონება. რა იწვევს ამ მოძმე ერთა შორის მშვიდობიანობის შეუძლებლობის საშინელ ხიფათს? მიზეზია ერთი; ორი ბლოკის ურთიერთობა, მათ შორის მშვიდობიანობის შეუძლებლობა. ამ ნიადაგზე ურყევად მდგომი არის ერთი ბლოკი — მოსკოვი, ის გატაცებულია თავის მიზნით — იყოს მსოფლიოს მეთაური და ბატონი, ეს კი შეუძლებელია მშვიდობიანი საშუალებით. არც ერთ ერს და სახელმწიფოთ არ სურთ მას დაეყმონ, თავის ნაციონალურ განვითარებაზე ხელი აიღონ და ამიტომ იძულებულნი არიან მოემ-

საქართველოს პარლამენტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ზადონ თავის დაცვისათვის.

ორი ბლოკი ნიშნავს — ერთი თავის დაცვას, მეორე თავდასხმას.

საბჭოთა ქვეყანაში ომის და ზავის საკითხს არ სწყვეტს ხალხი, დემოკრატია. მისი გადამწყვეტია მხოლოდ მეთაურობა მცირე რიცხვი ტირანებისა, კრემლის ბატონები. მეორე ბლოკში ევროპა - ამერიკის დარაზმულობაში გადამწყვეტია ხალხი, მის მიერ თავისუფლად არჩეული მართველობა, როცა ორი ასეთი მოპირდაპირე წყობილება დიდხანს არსებობენ და მათ შორის საერთო ენა ვერ მოინახა, აშკარაა ქვეყანას მოელის კატასტროფა.

შესძლებს კი მოსკოვის მთავრობა უომროდ თავის მიზანს მიაღწიოს, დაიმორჩილოს კაცობრიობა? მეტად დაიგვიანა. დასავლეთი და ჩრდილო ამერიკა სწრაფი ნაბიჯით ემზადებიან.

დასავლეთის დამარცხება თუ დაჩოქება ახლა ისე ადვილი აღარ არის, თუ კრემლი ამას შეიგნებს, თავის ოცნებებს თავს დაანებებს და მდგომარეობას რიალურად დაინახავს, მაშინ მისი ხსნის აზრი ერთია — შინაგანი რეფორმებით გაიყვანოს თავისი ხალხები ევროპის პოლიტიკურ ხაზზე, მაგრამ ამ ევოლიციურ მეთოდს მიიღებს კრემლი? საეჭვოა, ტირანია მუდამ ინგრეოდა და დღესაც დაინგრევა სინამდვილის დაუნახაობით, თავის ძლიერების გაზვიადებით, თავის ილუზიების სინამდვილეთ მიღებით. ამიტომ მოსკოვის სავალი გზა გაკვალულია, მზადება ომისათვის, მიმხრობა აზიის ხალხების. გასაბჭოება რაც შეიძლება მეტი ერის და მრავალ ერის და მრავალ ხალხების დახმარებით დასავლეთის და ამერიკის დაცემა. ამავე დროს დასავლეთი ერთდება, საერთო საგარეო პოლიტიკაზე ეწყობა, საერთო ცენტრს აარსებენ და მოსკოვის წინააღმდეგ ერთად ირაზმებიან. მოსკოვის შინაგანი რღვევა, ევროპის შინაგანი ერთობა — ეს ორი პროცესი ჩვენი დროის დამახასიათებელია. კრემლი ემუქრება მსოფლიოს დამორჩილებით. დამოუკიდებელ არსებობის გაქრობით, ხოლო ევროპა — ამერიკა, მას იცავს და ემზადება თავდამსხმელთა წინააღმდეგ, ერთი ფრონტის შესაქმნელად. ერთის დროშაა ერთა დამორჩილება, მეორესი ერთა თავისუფლება ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავდასხმა ავღანისტანზე

ავღანისტანის თავდასხმამ სამართლიანად აღაშფოთა მთელი კაცობრიობა. დასავლეთის პრესამ ერთხმად დაგმო იგი, თვით კომუნისტური პარტიის დიდმა უმეტესობამ გაჰკიცხა მოსკოვის საქციელი, მოსკოვმა არ იკმარე აქამდე, მისგან ათეული ქვეყნების დაპყრობა, მას ახალი მსხვერპლი მიუმატა. მოსკოვის მიზანი აშკარაა, მას ხელი არ აუღია მსოფლიო რევოლუციის მოხდენაზე, იქ საბჭოურ წყობილების დამყარებაზე.

ავღანისტანის დაპყრობით იგი მიილტვის სპარსეთის ყურამდე, რათა იქ ხელში ჩაიგდოს ნავთის საბადოები ... თან შიშობს ისლამისტური მოძრაობა არ შეიჭრას რუსეთის მხარეში, ცნობილია, რომ ექვსი მილიონი მუსულმანი იმყოფება აზიაში და კავკასიაში, მათ ყავთ დაწინაურებული ინტელიგენცია, რომელიც არაფრით არ ჩამოუარდება რუსეთისას. თუ ადგილობრივი რუსები, მეგობრობენ მუსულმანებს, მათ შორის მუდმივი მტრობა არსებობს, ხშირია შეტაკებები, მუსულმანობა ჩინეთისკენ იხედება, რაც მოსკოვისათვის საიდუმლობას არ უნდა წარმოადგენდეს. მოსკოვმა დაუშვა დიდი შეცდომა, მუსულმანთა შვილები გააგზავნა ჯარისკაცებად ავღანისტანში, რომლებმაც დაიწყეს დაძმობილება ადგილობრივ მცხოვრებთან. საბოლოვო ანგარიშში მოსკოვმა განიცადი საშინელი მარცხი მან სამუდამოდ გადაიმტერა მთელი ავღანისტანი, არც ადგილობრივი კომუნისტური პარტია არ უჭერს მას მხარს გარდა რამოდენიმე მოსყიდულისა.

დასავლეთი დღეს შეშფოთებულია, მაგრამ როცა ჩვენი ქვეყნის პრესა გაბრთხილებას აძლევდა, მან არ შეისმინა ჩვენი ერის ტრაღედიის გაკვეთილი. ლ. ჯორჯის პასუხი იყო: „ვაჭრობა კანიბალებთან შეიძლებაო“. ყოველ გაჭირვების დროს ეხმარებოდნენ მოსკოვს. ერთი დადებითი შედეგი მოჰყვა ავღანისტანის დაპყრობას, გამოაფხიზლა და დარაზმა მოსკოვის წინააღმდეგ, როგორც დასავლეთი, ისე მუსულმანური ქვეყნები....

ა. ბადრიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავღანისტანზე თავდასხმის გამო

სოციალ - დემოკრატიული პარტია. ეროვნულ - დემოკრატიული პარტია. სოციალისტურ - ფედერალისტთა პარტია. ჰელსინკის შეთანხმების დამცველი კომიტეტი. ჟურნალი „ თავისუფალი ტრიბუნა. " ჟურნალ „ კავკასიონი"ს გამომცემლობამ. ერთად გამოსცეს განცხადება, სადაც ისინი ჰკიცხავენ მოსკოვის ვერაგულ თავდასხმას ავღანისტანზე.

განცხადება გამოცემული იქმნა ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენაზე.

რეზოლიუცია

საბჭოეთის ხალხთა გამანთავისუფლებული ლიგის (პარიზის ბლოკის) ავღანისტანის საბჭოთა რუსეთის თავდასხმის გამო:

ცენტრალური კომიტეტი საბჭოეთის ხალხთა გამანთავისუფლებელი ლიგის, რომელშიდაც შედიან ბელორუსების, ქართველების, აზერბეიჯანის, ყირიმის ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინის, თურქესტანის და ურალის (თათარ-ბაშკირები) წარმომადგენლებმა, მათ მიერ სპეციალურად მოწვეულ კრებაზედ 1980 წ. 17 იანვარს, საბჭოთა რუსეთის ავღანეთის მიმართ აგრესიის საპროტესტოდ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

1) - ლიგა აღშფოთებით აკეთებს კონსტატაციას, რომ კიდევ ერთი თავისუფალი სახელმწიფო ავღანისტანი, გახდა მსხვერპლი მოსკოვის წითელ იმპერიალიზმის აგრესიის.

2) - ჰკიცხავს დაუშვებელ მოქმედებას მოსკოვის კომუნისტური თავრობისას, ლიგა აღნიშნავს, რომ ავღანისტანი არ არის პირველი მსხვერპლი საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმისა; ჯერ კიდევ დასაწყისში 1917 წლის ოქტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მბრის რევოლიუციისა, წითელი მოსკოვი თავს დაესხა ერებს რომლებიც შედიან საბჭოეთის ერთა განთავისუფლების ლიგაში და ხანგრძლივი ომების შემდეგ დაიპყრო ამ თავისუფალი ერების ტერიტორიები.

აგრესიის მსხვერპლი გახდნენ მთელი რიგი ე. წ. სატელიტური სახელმწიფოები აღმოსავლეთ ევროპისა. ამის შემდეგ საბჭოთა რუსეთი, მისი პირდაპირი თუ არა პირდაპირი მონაწილეობით, განაგრძობს თავდასხმებს აფრიკისა და აზიის სახელმწიფოებზე, რომლის საბოლოვო აქტია, აშკარად თავდასხმა საბჭოთა დივიზიებით ავღანისტანზედ.

3) - ლიგა მოუწოდებს ყველა თავისუფალ სახელმწიფოებს და მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს, დაეხმაროს თავისუფლების მოყვარულ ავღანელ ხალხს, რათა ავღანეთის ტერიტორიიდან დაუყონებლივ გაყვანილ იქნეს საბჭოთა არმიის დივიზიები.

4) - ვღებულობთ რა მხედველობაში, საბჭოთა ჯარების რიგებში არინ პირები, რომლებიც შვილები არიან რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებისა წითელი რუსეთის მიერ, რის გამო ლიგა აცხადებს, რომ არც ის ჯარისკაცები,არც მოსკოვის მიერ დაპყრობილი ერები არ არიან პასუხისმგებელნი იმ გაუგონარი ბოროტებისა, ავღანეთის ხალხის მიმართ, რადგან ისინი ძალდატანებით იქნენ ჩარიცხულნი წითელ არმიის რიგებში.

არამც თუ 50 მილიონი მუსულმანური ერები ძალით შეყვანილი რუსეთის საზღვრებში, არამედ მოსკოვის მიერ დაპყრობილი ერები სოლიდარობას უმცხადებენ ავღანეთს და მის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთ.

5 - ვაცხადებთ რომ აგრესიული საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმი ემუქრება ყველა თავისუფალ ერების დამოუკიდებლობას და სურთ მათი დამორჩილება. ლიგა გამოთქვამს რწმენას, მხოლოდ საბჭოთა რუსეთის დამხობა-დანაწილება თავისუფალ, დამოუკიდებელ ერთა სახელმწიფოებად, სადაც არ იქნება გამორიცხული რუსეთის ერი თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში, შესძლებს გადარჩენას მოსკოვის იმპერიალიზმის საშიშროებისაგან. ამიტომ ლიგა მოუწოდებს ყველა თავისუფალ მსოფლიოს სახელმწიფოებს, ეფექტიურად, თუნდაც მორალურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეხმარონ რუსეთის მიერ, არა რუს დაპყრობილ ერებს, რომლებიც შეადგენენ ნახევარზედ მეტს მოსახლეობისას და დაუცხრომლად იბრძვიან თავიანთ განთავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის და დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა გამანთავისუფლებელ ლიგის სახელით:

თავმჯდომარე: **ნიკოლა ლივიცკი**

გენერალური მდივანი: **ალი აკიშ**

საქართველოს დაპყრობის ისტორიიდან

მარტის, 1917 წლის მეთაურობა, რომ გულუბრყვილო იდიალისტები გამოდგა ეს საქვეყნოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. მარტო „კერენჩინა" რად ღირს? იგი მთელ დედამიწაზე სინონიმად გახდა პოლიტიკური უხასიათობის და უილაჯობის, ბოლშევიკური გადატრიალება პირველ მის პერიოდში, მთელი განაპირა ქვეყნების გამოკლებით ცარცვაგლეჯის ასპარეზად გადაიქცა და რევოლიუციის ლოზუნგად „ცარცვეთ მცარცველებიო" გამოაცხადა, ასეთ რაიმეს მაშინ რევოლიუციის გაღრმავებას უწოდებდნენ და ეს უკანასკნელი ისე „გააღრმავეს" რომ მისი ფსკერის გავარდნამდე მივიდა, მდგომარეობა ძალზე გართულდა, ხელისუფლებამ წონასწორობა დაჰკარგა და მის წრეში სასოწარკვეთილებამ დაიბუდა. მართალია სამოქალაქო ომში თეთრი გენერლები განადგურდნენ, მაგრამ სამაგიეროდ რევოლიუციის შუაგულში, კონსტატში მატროსების დიდმა აჯანყებამ იჩინა თავი, ფართე მასებში ნივთიერმა სიღატაკეს მოიდგა ფეხი. შიმშილის აჩრდილი, მთელი თავისი საშინელებით, რუსეთის ცას ჩამოაწვა, ლენინი შეშფოთდა, მან კარგად იცის თუ რას ნიშნავს რუსეთის თვალუწვდენ ტერიტორიაზე შიმშილი. გასული საუკუნის 93 წლის ამბები კიდევ ცოცხალია მის მეხსიერებაში, მხოლოდ გარედან დახმარებას შეუძლია მდგომარეობის ხსნა და სწორედ ამიტომ იყო, რომ საუკეთესო მისი თანამშრომელი გააგზავნა საზღვარგარედ, ემისარის ცნობები ოპტიმისტური გამოდგა, მხოლოდ ამიტომ ევროპის მოშინაურებაა საჭირო, ევროპის კაპიტალისტები არ უნდა დააფრთხოს ექსესებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ პირობებში დაისვა 1921 წ.იანვრის 4 - ს. საქართველოს იარაღით დაპყრობის საკითხი პოლიტბიუროს სხდომაზე. ამ ვერაგობის ინიციატორი იყო ქართველი სერგო ორჯონიკიძე, მან იგივე საკითხი რამოდენიმე თვის წინად დაუყენა იმავე პოლიტბიუროს სხდომაზე, ლენინის კატეგორიული მოთხოვნით მაშინ ეს საკითხი მოიხსნა.

ახლა ორჯონიკიძემ პოზიციის გასაძლიერებლად ფილიპე მახარაძე ჩამოიყვანა მოსკოვში და კვლავ დაჟინებით მოითხოვა პოლიტბიუროსაგან დასტური, იგი პირდება ამ ავანტიურის სასწრაფოდ ჩატარებას. იმართება კამათი, ტროცკი და სტალინი საქართველოს ლიკვიდაციას უჭერენ მხარს. ლენინმა შექმნილ მდგომაროეობაში მსგავსი ავანტიურა მავნებლად გამოაცხადა. პოლიტბიურომ თხოვნა არ დააკმაყოფილა, მაგრამ ამ სხდომის გაგრძელებას მეორე დღეს ჰქონდა ადგილი. ტროცკი — სტალინის საიდუმლო თათბირმა ორჯონიკიძეს გზა დაულოცა და დაავალა — გაიმარჯვე და თანახმად შენი თქმისა! ეს ელვის სისწრაფით მოედება მსოფლიოს. გამარჯვებულს არ ასამართლებენ, თუ ანგარიში გაგიცრუვდა ისღა დაგრჩენია საქართველოზე თავდასხმას აჯანყების ხასიათი მისცე. ამნაირად ჯერ დაიწყო თებერვლის 12 - ს სომხეთის საზღვრებზე ორჯონიკიძის „მიზან სცენა", დასაწყისში მას ბედმა გაუღიმა, და საქართველოს მხედრობის პირველმა მარცხმა, არა დამარცხებამ ჩვენი დედა ქალაქისაკენ გზა გაუხსნა, მაგრამ ახალმა სარდლობამ მდგომარეობის გამოსწორება შესძლო და დედა ქალაქის დამცველთა ზედიზედ ორმა გამარჯვებამ მოღალატე განსაცდელში ჩაგდო. ჩვენ გვქონდა საშუალება თბილისის თეატრში თვით მოგვესმინა გადაგვარებულ ქართველის აღსარება, სადაც იგი ცინიკური გულგრილობით უამბობდა აუდიტორიას 23 - 24 -ს გამოწვეულ განცდებს.

საქართველოზე თავდასხმის ამბავი გახმაურდა და რუსეთის საზღვრებს გასცილდა. გაოცებული ლენინი მოითხოვს ორჯონიკიძის დაუყონებლივ მოსკოვში გამოცხადებას და საქართველოდან ჯარების გაყვანას, მან უკვე გასცა ბრძანება ჯარების გაყვანის, როცა მას შეატყობიეს 24 - ს თბილისის დაცლის ამბავი; „მე არ ვიცოდი რა მექ-

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა განაგრძობს ორჯონიკიძე, — ცხადია რომ ეს ქართული სარდლობის ხერხია."

დიდის მღელვარებით ორჯონიკიძე უცდის მდგომარეობის გამორკვევას, უცდის ერთ დღეს, მეორე დღეს, ამ უკანასკნელის დასასრულს სამშობლოს მოღალატემ გაბედა და შეუძღვა რუსის ჯარებს საქართველოს დედა — ქალაქში. დაიწყო საქართველოს გოლგოთა, ჩვენი თავისუფლების დღე ჩაესვენა.

ძველი

უგილავას ფანტაზიები

უბილავას ხშირად სიმართლე წამოცდება, იმ ლეგენდების გასაფანტავად, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ საქართველოს არ უბრძოლია და თავი არ დაუცავსო.

„მენშევიკური საქართველო მომწყვდეული რუსეთის აზერბეიჯანის, სომხეთის რესპუბლიკის ალყაში. რუსეთის ქვეშ მოექცა მთელი ჩრდილო კავკასია." უბილავა დასცინის ქართველი ერის თავრობას, შეხეთ იხტიბირს არ იტეხს ბრძოლას განაგრძობსო. მას დაავიწყდა სწორედ იმ ხანებში მე 11 ტე არმიის სამხედრო უწყების ორგანო იუწყებოდა: „ქართველები მამაცურად იბრძოდენო" ესეც, რომ არ იყვეს საქართველო იყო განმარტოებული, უიარაღო, ევროპაში გაგზავნილი იარაღის შემყიდველი კომისია ხელცარიელი დაბრუნდა. მოსკოვი თავის აგენტებს ფულს აყრიდა, რომ ხალხი აეჯანყებიათ, მაგრამ ამაოდ, ადგილობრივი მცხოვრებნი ჯარის დაუხმარებლად აქრობდნენ ყოველგვარ არეულობის ჩანასახს...

დაიპყრეს საქართველო, ეროვნული თავრობა საფრანგეთს გაიხიზნა

გაჩაღდა პრობაგანდა მოსკოვის მუხანათური თავდასხმის წინააღმდეგ და მოტაცებულ თავისუფლების დასაბრუნებლად. მთავრობის წევრებმა და ეროვნულ მოღვაწეებმა შემოიარეს დასავლეთის ყველა დიდი ქალაქები, მათ ხვდებოდენ დიდი სიმპატიით, გამოჰქონდათ რეზოლუციები, სადაც მოითხოვდნენ საქართველოდან რუსის ჯარების გაყვანას. არსად, არასოდეს ჟორდანიას და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის მინისტრებს არ მოუთხოვიათ არავითარი სამხედრო დახმარება, არამედ თხოულობდნენ მორალურ დახმარებას. უბილავას ალბად ახსენდება მისი წინაპრების ფილიპე მახარაძის და სხვების კრემლის კულისებში ხეტიალი როდესაც ჯარებს ითხოვდნენ საკუთარ სამშობლოს დასაპყრობლად. უბილავა იმეორებს ათასჯერ გადაღეჭილ ფრაზებს, ნ. ჟორდანიამ, რომ ვერაფერი გააწყო, აამხედრა ნაძირალები 1924 წელსო. ასე მონათლა უბილავამ სახალხო აჯანყება, აღარას ვამბობთ მეტს აჯანყებაზე, „მელიას თავზე სახარების კითხვა“ იქნებოდა...

უბილავა გადმოქვცემს ეროვნული მთავრობის წევრების ურთიერთობას უცხო სახელმწიფოთა მეთაურებთან და ფანტაზიით კვებავს მკითხველთ, თითქოს თვით დასწრებოდეს ბრიან — პუანკარესთან შეხვედრებს... სასტიკად აყალბებს, საფრანგეთის მაშინდელ პოლიტიკურ—საზოგადოებრივ ცხოვრებას, მიუხედავად გამარჯვებისა ცხოვრება მაინც აწეწილ - დაწეწილი, ვის შეეძლო ეფიქრა ახალ ომზე! ის აბრალებს პუანკარეს თითქოს რუსეთზე გასალაშქრად ემზადებოდა, ის ეკითხებოდა თითქოს ჟორდანიას თუ როგორ განწყობილებაში იყო პოლონეთთან და სხვა და სხ... ეს ზღაპრები დასჭირდა უბილავას, რომ ქართველ ხალხს უთხრას „შეხედეთ ჟორდანია კაპიტალისტებთან კავშირს კრავსო“

ვსთქვათ გულახდილად, ქართველი ხალხი ყველას დაუკავშირდებოდა ოღონდ ჭირი თავიდან მოეშორებია.

დასასრულს უბილავას შესწევს გამბედაობა სთქვას: საქართველოს პრეზიდენტმა ნ. ჟორდანიამ რუსეთის დიდ მთავარს კირილეს სთხოვა დახმარებაო. დიდი შუბლ—მაგარი უნდა იყვეს ვილაც უბილავა.

პ. სარჯველაძე

საქართველოს პატრიარქი პარიზში

ამა წლის 10 თებერვალს პარიზში ქართველობას ეწვია სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II . მას თან ახლდა აფხაზეთის ეფისკოპოზი და პირადი მდივანი. ქარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ულ ეკლესიაში მრავალრიცხოვან საზოგადოების წინაშე ჯერ ჩვენმა მოძღვარმა, შემდეგ პატრიარქმა გადაიხადეს წირვა. საუცხოოდ გალობდა გუნდი. პატრიარქმა მოიხსენია წამებულნი ამბროსი კათალიკოსი და კალისტრატე, მადლმოსილი სიტყვით მიმართა დამსწრეთ, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

დასასრულს მხურვალე და მგრძნობიარე სიტყვით მიმართა პატრიარქს ლევან ფაღავამ.

16 თებერვალს პატრიარქი ეწვია ლევილის ძმათა სასაფლავოს, ჩამოიარა ცალკეულად საფლავები, მთლიანი წირვა გადაიხადა და მოიხსენია საქართველოს პრეზიდენტი ნოე ჟორდანია.

შეჩერდა აგრეთვე საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის საფლავთან.

ესტუმრა „შატოს", დაათვალიერა დარბაზი . მას გაუმასპინძლდა ქართული სუფრით ქალბატონი ნამეტი გოგუაძისა. პატრიარქმა მიიწვია ქართული საზოგადოება შვედელბის ეკლესიაში. ქალბატონმა ლუბა აბდუშელმა დაპატიჟა პატრიარქი თავის ბინაზე. რის შემდეგ იგი ვაემგზავრა ვერსალის დასამთვალიერებლად ....

სამშობლოში დაბრუნებისას, პატრიარქმა გამოუგზავნა სათვისტომოს თავმჯდომარეს ბატონ ვიქტორ ხომერიკს დეპეშა, სადაც იგი მადლობას უხდის ქართველობას გულთბილი მიღებისათვის.

გაკვრით

ქართულ „კომუნისტი" - ს ამა წლის ივნვრის ნომერში მოთავსებულია „იზვესტიიდან" ნათარგმნი წერილი შემდეგი სათაურით: „სამართლიანი გადაწყვეტილება". რასაც „კომუნისტი" დიდის კმაყოფილებით აცნობს მკით-

ხველს, აკადემიკოს სახაროვის პროვინციაში გაძევებას. ჩამოურთმეველად შრომის გმირის სახელწოდება, ყველა მის მიმართ მინიჭებული ჯილდოები და ტიტულები, ქართველი მკითხველი ღირსია იმისი, რომ იცოდეს სიმართლე.

სახაროვის დასჯამ გამოიწვია დასავლეთში ყველა ქვეყნების დიდი აღშფოთება, თვით კომუნისტური პარტიების რიგებიც კი შეარყია და მათმა მეთაურებმა საჯაროთ დაჰგმეს მოსკოვის საქციელი, რომელმაც დაარღვია ელემენტარული უფლებები ადამიანისა. დასავლეთი ერთსულოვნად გამოვიდა სახაროვის გმირული მოქმედების დასაცავად და მის გასანთავისუფლებლად; ის აღიარებული იქნა მთელი დასავლეთისაგან, როგორც მედგარი მებრძოლი, მის წინაშე თავს იხრის მთელი განათლებული კაცობრიობა. ჩვენ სრულებით არ ვაპირობთ ცილისწამებით სავსე წერილის გარჩევას. ვინ აიძულა „კომუნისტი"? ქართველ კომუნისტს იმის გამბედაობა არ დაურჩა, თავი შეეკავებია და ქართველი ადამიანი რუსეთის ვერაგობის სამსხვერპლოზე არ მიეტანა.

მკითხველი

მეტეხის მარში

მუსიკა ნიკო დუმბაძის.

დაწერილია მეტეხში 26 მაისის საზეიმოდ.

ჩვენ უბრძოლველად სამშობლოს
არვის მივცემთ გულსაკლავად,
თუნდ მთელი ქვეყნიერება
გადაგვექცეს ბნელ საფლავად.
თეთრი გიორგი ქართველებს
მოუძღვის აბჯარ ჟღრიალით,
ჩვენც შეუერთდეთ მამაცებს
სამფერი დროშის ფრიალით.
ერთად წავიდეთ ბრძოლაში.
ჩავლეწოთ ციხის კარები,
საქართველოდან აღვგავოთ
ცივ - ჩრდილოეთის ჯარები.

აღადგინა გ. ბოლქვაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხაზიარო პოეზია

ირინე და გიორგი ყიფიანი.

ქალბატონი ირინესი და მისი მეუღლის პოეტ გიორგი ყიფიანის პოეზიის მეექვსე წიგნი დიდი კმაყოფილებით იხილა ქართულმა საზოგადოებამ. ჩვენდა სამწუხაროდ უადგილობის გამო ჩვენ ვერ ვაძლევთ სათანადო შეფასებას, რისიც ღირსია მათი შემოქმედების ბრწყინვალე ნაყოფი, რომელმაც დიდი მოწონება გამოიწვია ისეთ პირებისაგან, როგორიც ბრძანდებიან: (იხილეთ ფრანგულად ნათარგმნი შაირების კრებული **„ენ პოეტ ჟეორჟიენ ა პარი“**) სენეგალის პრეზიდენტი და ცნობილი პოეტი ლეოპოლდ სედარ სანგორ, ისტორიკოსი არტურ კონტ, საფრანგეთის კოლეჟის პროფესორი და აკადემიკოსი ჟორჟ დომინილ, სორბონის უნივერსტეტის პროფესორი გიორგი შარაშიძე, პროფესორ რენე ვოლფი, აბებუტიე და სხვა.

საფრანგეთში არც ერთ ქართველ პოეტს არ ხვდომია წილად ასეთი გამოძახილი, ამით ქალბატონ ირინეს და გიორგი ყიფიანის შემოქმედებამ დიდი საამაყო საგანძური შეიტანეს ქართული პოეზიის ისტორიაში.

პ. სარჯველაძე

სასარგებლო საქმე

ბატონმა კალისტრატე სალიამ (გამოცემა ქალბატონ ნინო სალიასი) გამოაქვეყნა მეცნიერულად დამუშავებული **საქართველოს ისტორია.**

ვწუხვართ რომ ჟურნალის სივიწროვე საშუალებას არ გვაძლევს ფართედ შევეხოდ ღირსეულ ნაწარმოებს. წიგნი შეიცავს 551 გვერდს. აღწერილია საუკუნეთა განსწვრივ ბევრი პოლიტიკური - საზოგადოებრივი მოვლენები, ბრძოლები, აჯანყებები, მტერთა შემოსევები და მრავალი სხვა. წიგნის ბოლოში აღნიშნულია საქართველოს ცნობა ზოგიერთ ქვეყნების მიერ და რომ **საქართველოს გასაბჭოება მოხდა რუსეთის წითელი ჯარების მიერ.** იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში მიუდგომელი ის-

ტორიკოსი ღირსეულად გააშუქებს საქართველოს დამოუკიდებლობის ხანის ისტორიას.

ჩვენ კი ქალბატონ ნინოსა და ბატონ კალისტრატე სალიას შრომას გულწრფელად ვესალმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონი ივონ ურუშაძისა

გასული წლის 18 დეკემბერს, ლევილის ძმათა სასაფლავოს მივაბარედ ქალბატონი ივონ კუტურიე ურუშაძისა. „ჩვენი დროშა" - ს რედაქცია გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს **ბატონ ნიკო ურუშაძეს.**

აკაკი ასათიანი

1980 წ. 10 მარტს ლევილის ძმათა სასაფლავოს მივაბარეთ ჩვენი ამხანაგი აკაკი ასათიანი. აკაკი გადმოსახლებული იქმნა მეტეხის ციხიდან 1922 წელს. ერთგული სოციალ - დემოკრატიული პარტიისა, იყო თავდადებული პატრიოტი, უწყინარი, ყველას მეგობარი, მისი ხსოვნა მის მეგობართა შორის წარუშლელი დარჩება.

გ. გოლქვაძე

გარდაიცვალენ

14 ნოემბერს პეგი ხუნდაძისა.

18 იანვარს ვასილ (ვასიკო) საბახტარაშვილი.

18 თებერვალს გიორგი ვაჩნაძე.

დაკრძალულნი არიან ლევილის ძმათა სასაფლავოზე. ამერიკაში 27 თებერვალს ნიკოლოზ (კოლია) ქვარიანი.

ქალაქ არლიტონში ფინა გომართელი დადიანისა.

„ჩვენი დროშის" რედაქცია ღრმა მწუხარებას უცხადებს მათ ჰირისუფლებს და მეგობრებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ფონდი

ძოსე იმნაიშვილი — 500 ფ. კარლო ინასარიძე—200 მარტიანე მგელაძის ხსოვნის აღსანიშნავად, მეგობრისაგან — 200. გრიგოლ ქვარცხავასაგან — 100. პროკ. ინწკირველისაგან 100. გრ. ბარამიძესაგან 100. ვიქტორ ხომერიკისაგან 100. ჟ. ასათიანისაგან 100. ლევან ფალავასაგან 50.. მ. ბერიშვილისაგან 50. შალვა გვასალაია 10. სოშოს სათვისტომოსაგან; სტამბის შესაკათაბლად 500ფ.

მადლობა

ფრანგულ ბროშურისათვის შემომწირველთ.

„ლა ვუა დე ლა პრემიერ ვიქტიმ"

მიუნხენიდან	600 ფ.
ა.შავგულიძე	500 ფ.
გ. ქვარცხავა და მისი შვილები (ვილი, ჟოჟო და აკაკი)	200 ფ.
პ. ხვედელიძე	200 ფ.
გ. ქვარცხავა	400 ფ.
გ. გაბილიანი	100 ფ.
მ. ხუნდაძე	100 ფ.
გ. ლომაძე	100 ფ.
ქ. - ნი იაკობიშვილი	50 ფ.
დ. ქიმერიძე	50 ფ.
ქ. - ნი სტურუა	50 ფ.
შ. ბერეჟიანი,	50 ფ.
ილ. სალუქვაძე	30 ფ.
დ. დუიშვილი	30 ფ.
ბ. ჭაჭიაშვილი	20 ფ.
ილ. ემუხვარი	20 ფ.

პ. ს.

Gérant : Pr. Intskirvefi.

Imprimerie LEFÈVRE S. A.

122, route de Corbeil - 91700 Ste Geneviève des Bois - 015.04.55

Hors commerce